საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№34 (6260) სამშაბათი, 1990 წლის 20 მარტი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 14 მარტს მუშაობა განაგრძო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან კანდიდატის დასახელების საკითხი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან კანდიდატად დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

* * *

1990 წლის 16 მარტს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე განიხილავდნენ სკკპ წესდების პროექტს და დღის წესრიგის სხვა საკითხებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის პარტკომების მდივნები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები.

სკკპ წესდების პროექტის დახვეწისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხვა დოკუმენტების მომზადების სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა გ. პ. რაზუმოვსკი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXVIII ყრილობის მოწვევის, პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კომპანიის მოწყობის ვადების, ყრილობის დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმისა და არჩევის წესის შესახებ“.

პლენუმმა სარედაქციო კომისიას და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დაავალა შემოსული შენიშვნებისა და გამართული განხილვის შესაბამისად დახვეწონ სკკპ წესდების პროექტი (პროექტი პრესაში გამოქვეყნდება).

პლენუმზე მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთის პარტიული კონფერენციის გამართვის შესახებ.

პლენუმმა მოიწონა სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის დებულების პროექტი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მ. ს. გორბაჩოვი— სსრ კავშირის პრეზიდენტი

მოსკოვი, 15 მარტი. (საქინფორმ). მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი აირჩიეს საბჭოთა კავშირის პირველ პრეზიდენტად. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოწყობილი კენჭისყრის შედეგებით მ. ს. გორბაჩოვის კანდიდატურამ მიიღო ხმების დიდი უმრავლესობა.

არჩევნების შესახვედრად

ხმა მივცეთ ღირსეულთ

საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე, არ არის სულერთი, თუ როგორი დეპუტატები მოიყრიან თავს მის პარლამენტში. მათმა მოქმედებამ უნდა შეიტანოს რეზონანსი იმ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც გამოლვიძებული და გამოფხიზლებული ერის წინაშე ესოდენ მოზღვავდა. საქართველოს დეპუტატთა კორპუსი უნდა იყოს ის ბირთვი, რომელზედაც დაყრდნობა შეეძლება ფართოდ გაშლილ სახალხო მოძრაობას, ერსა და ბერს, მთელს საზოგადოებრიობას. მათი საქმიანობა უნდა გამოხატავდეს წმინდა ეროვნულ ინტერესებსა და შესწევდეთ უნარი გონებრივად შეავსონ და რადიკალური ცვლილებები შეიტანონ „ზემოდან“ ნაკარნახევ ყველა საკითხში, რომელიც ჩვენი ერისა და ქვეყნის ინტერესებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხება.

დასამალი არ არის, რომ ცოტა გვყავს პოლიტიკაში განსწავლულნი. ეს კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა იმ მავნე ზეგავლენისა, რომელიც ათწლეულების მანძილზე მძიმე ტვირთად აწვა საზოგადოებრივ ორგანიზმს და მიაღწია კიდეც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას. სწორედ მიმდინარეობათა სხვადასხვაობის მოქმედებათა მრავალფეროვნების დროს უნდა გამოიკვეთოს ერთიანი, ჯანსაღი აზრი, რომელიც ჩვენი მომავლისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფორმად იქნება მიჩნეული. ამ პროცესების რეგულირება ყოვლად შეუძლებელია გონიერი პარლამენტის გარეშე, რომლის არჩევას საზოგადოება მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, ჩვენ ვისწავლით პარლამენტარულ ბრძოლას მხოლოდ პროგრესულად და საღად მოაზროვნე პარლამენტარების საშუალებით.

დღეს, სახალხო დეპუტატთა არჩევნებში შეგნებულად თუნდაც მინიმალური შეცდომის დაშვება ეროვნული ღალატის ტოლფასია. დეპუტატი უნდა შეფასდეს მორალის, ზნეობის, ეროვნული თვითშეგნების, პროფესიონალიზმის და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის პოზიციებიდან, ის უნდა იცნობდეს და პატივს სცემდეს იმ კუთხის ყოფასა და ტრადიციებს, რომლის რჩეულიც არის.

როგორც ყველა ლეჩხუმელისათვის, ჩემთვისაც ძვირფასია ჩემი მხარის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად გადადგმული თითოეული ნაბიჯი, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ მივმართო ჩემს ხალხს, ხმა მივცეთ ღირსეულთა შორის ღირსეულს, მას, ვისაც ადვილად შეუძლია უარი თქვას პირად კეთილდღეობაზე საერთო ინტერესებისათვის, მას ვისაც აქვს მორალური უფლება იმოქმედოს ხალხის სახელით, მას, ვისაც ცხოვრებაში კეთილსინდისიერი შრომის გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა და შესწევს უნარი სხვისი ტკივილის გაზიარებისა, მას, ვისაც შეუძლია პირნათლად ზიდოს დეპუტატის მძიმე ტვირთი გამჭრიახი გონებით, სპეტაკი სულითა და ჯანსაღი მხრებით.

ჩვენს მიერ არჩეული დეპუტატი წარმოადგენს ლეჩხუმის სახეს... ჩვენ აქ შეცდომას უნდა გავუფრთხილდეთ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ლეილა გურგუჩიანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი, დემოგრაფიული საზოგადოების წევრი.

ქ. თბილისი.

საგანგებო კონფერენცია დამთავრდა

თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ.

შეჯამდა სამდღიანი ცხარე დისკუსიის შედეგები, დაკონკრეტდა ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სადღეისო ამოცანები, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები.

რეზოლუციაში, რომელიც ბოიკოტს უცხადებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებს, ნათქვამია:

„უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყოველი კანდიდატი მორალურად ვალდებულია მოხსნას საკუთარი კანდიდატურა.

25 მარტს დანიშნული არჩევნების დღეს ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, უნდა ამოშალოს საკუთარი გვარი საარჩევნო სიიდან, რეგისტრაციაში გაატაროს და ადგილზევე დატოვოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველი (სახელი, გვარი) პოლიტიკური მოსაზრების გამო ბოიკოტს უცხადებს საბჭოთა არჩევნებს“...

ამავე რეზოლუციაში ნათქვამია, რომ თუ ხელისუფლება 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს გადადებს, იმ არჩევნებსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ საბჭოთა არჩევნებს, გამოეცხადება ბოიკოტი.

მიღებული იყო რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიიდან არმიის ნაწილების გაყვანის შესახებ და ქართველი ახალგაზრდობის საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის შეწყვეტის შესახებ.

კონფერენციამ თავის რეზოლუციაში „უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა კიდეც საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან. დღეს, ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს, ემიგრანტთა ამ ნაწილმა დროზე უნდა გააკეთოს რეაქცია კონფერენციის ამ რეზოლუციაზე და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში“.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო კონფერენცია დამთავრდა

(დასასრული)

ერთ-ერთ რეზოლუციაში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საქართველოს კომკავშირმა, 20-21 მარტისათვის დანიშნულ თავის ყრილობაზე, მოახდინოს თვითლიკვიდაცია.

მიღებულ იქნა რეზოლუციები დემოგრაფიული ექსპანსიისა და ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის შესახებ.

განისაზღვრა ეროვნული ფორუმის ფუნქცია და დანიშნულება, რომლის არჩევაც კონფერენციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. ფორუმი იქნება ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებული ორგანო. კონფერენციაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ამ ფორუმმა უნდა მოამზადოს გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა, დემოკრატიული არჩევნების — საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ფორუმს ექნება საკუთარი სამუშაო ადგილი, ანგარიში ბანკში, ეყოლება სარედაქციო კომისია.

მოეწყო ეროვნული ფორუმის არჩევნები, მასში შევიდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს დემოკრატიული პარტია და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. წარმომადგენლობითი წესით ფორუმის მანდატები მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის, მწერალთა კავშირის, მუშათა კლასისა და გლეხობის, სხვადასხვა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

გამოცხადდა, რომ ეროვნული ხსნის კომიტეტი თავის მისიას შესრულებულად თვლის და უფლებამოსილებას გადასცემს ეროვნულ ფორუმს.

ეროვნულ ფორუმს დაევალა შეადგინოს მიმართვა ქართველი ერისადმი.

ორი წელია დაიწყო და მიმდინარეობს ალვის ხიდის მშენებლობა.

ობიექტის მშენებლობაში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობენ თავად ალველები, ან ვინ დაიშურებს ძალასა და ენერგიას ამ საშვილიშვილო საქმისათვის. ერთი მათგანია ნოდარ ყურაშვილი, რომელიც დღიდან ხიდის მშენებლობის დაწყებისა, ელექტროშემდუღებლად მუშაობს.

სურათზე: ნ. ყურაშვილი მუშაობისას.

ზ. გზობავას ფოტო.

ინტერვიუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

რევაზ მახარობლიძე: პრიორიტეტული მიმართულება — სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებამ. რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სადეპუტატო მოღვაწეობა და საარჩევნო პროგრამის შესრულების საშუალებები?**

— რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პირველ რიგში, კანონმდებელია. ამიტომ ჩემს სადეპუტატო მოღვაწეობაში მხარს დავუჭერდი ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას მშვიდობიანი, პარლამენტური გზით.

ჩემი საქმიანობით დაკავშირებული ვარ სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციასთან როგორც სპეციალისტების მომზადების, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხაზით. ამიტომ საზოგადოებას უფრო მეტ სარგებლობას მოვუტანდი უზენაესი საბჭოს ეკონომიკის განვითარების კომისიაში მუშაობით, სადაც მონაწილეობას მივიღებდი რესპუბლიკის სამთო რეგიონების ეკონომიკის განვითარების, სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის პრობლემების გადაწყვეტის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ობიექტების რაციონალური განლაგების შესახებ რეკომენდაციების დამუშავებაში. ვიზრუნებდი იმისათვის, რომ საქართველოს ყველა რეგიონის სოციალური ყოფის მიახლოებითი გათანაბრება მაინც მოხდეს, ამისათვის სამთო რაიონებისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ზრდის ტემპი მეტი უნდა იყოს სხვა რაიონებთან შედარებით. შემოღებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის დიფერენცირებული ფასები, რადგან პროდუქტის ერთეულის წარმოება მთიან პირობებში შრომის მეტ დანახარჯებს მოითხოვს, ამიტომ აქ წარმოებული ხორცის, ყურძნის, ხილის და ა. შ. შესყიდვის ფასი გაცილებით მეტი უნდა იყოს. ცხოვრების პირობების გათანაბრება მოითხოვს ასევე, რომ მთიან პირობებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც შესაბამისად მეტი იყოს.

*** რა შეგძინათ გარდაქმნამ, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლამ?**

— ხუთი წლის წინათ წამოწყებული გარდაქმნა, საჯაროობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. გამოირკვა, რომ შეუძლებელია ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლება თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების დონემდე ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის ჩარჩოებში, ინტენსიურად მიმდინარეობს ძველი ღირებულებების გადაფასება, მშრომელი მასების პოლიტიზაცია.

გარდაქმნის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქვეყნის უზენაესი საბჭო ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც განაწყობს ადამიანებს შრომისათვის და დააჩქარებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. პირადად მე გარდაქმნამ შემძინა რწმენა, რომ თუ რესპუბლიკაში არსებული ყველა პოლიტიკური ძალები („ფორმალები“ და „არაფორმალები“) გაერთიანდებიან ეროვნული ინტერესების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი გადაქცევა თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოდ.

*** როგორ გესახებათ ცაგერის რაიონის მომავალი ხუთწლედი?**

— მომავალ ხუთწლედში რაიონის განვითარება ისე უნდა წარიმართოს, რომ გაუმჯობესდეს მშრომელი ადამიანის სოციალური პირობები. გამოყოფილი ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი უნდა მოხმარდეს გზების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სკოლების, მაღაზიების და ა. შ. მშენებლობას და რეკონსტრუქციას. უახლოეს წლებში გათვალისწინებულია რაჭის რაიონის მომარაგება ბუნებრივი გაზით. საჭიროა ეს სამუშაოები გაგრძელდეს ცაგერის რაიონის მიმართულებითაც.

სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოები. თანხა ამ სამუშაოების ჩატარებისათვის გადახდილ უნდა იქნეს ლაჯანურჰესის შემოსავლიდან. საკუთრების შესახებ ამჟამად მიღებული კანონის შესაბამისად რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა სიმდიდრე (მიწა, ტყე, საწარმოები და ა. შ.) რაიონის მშრომელების საკუთრებაა. ამიტომ გარკვეული თანხა უნდა გბილოს წალენჯიხის ტყემრეწვმა, რომელიც ჩვენი ტყეებით სარგებლობდა.

ლაჯანურის და ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას უფრო მეტი ეფექტი ექნება, თუ დამატებით მოხდება წყალსაცავების გაწმენდა და მდინარეთა „ჩამონატანების“ გადამუშავება მინერალურ სასუქად. იგივე „ჩამონატანები“ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროზირებული და დარღვეული მიწების რეკულტივაციისათვის. ამრიგად, ლოგიკურია ორივე წყალსაცავთან აშენდეს შლამის მინერალურ სასუქებად გადასამუშავებელი საწარმოები.

ლეჩხუმური ხილის ხარისხი საერთოდ ცნობილია, მაგრამ მისი დამზადებისა და გადამუშავების პრობლემა საერთოდ მოუგვარებელია. საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტად მიმაჩნია რაიონში საკონსერვო ქარხნების აშენება. რაიონში გაზიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ზედმეტი არ იქნება სასათბურე მეურნეობის განვითარებაც.

ამ იდეების განხორციელება საშუალებას მოგვცემდა გადაგვეწყვიტა დასაქმების პრობლემა და შეგვექმნა სოფლის სოციალური განვითარების დეცენტრალიზირებული ფონდები. სასურველია, რომ ახლადშექმნილი საწარმოები, თავისუფალნი იყვნენ სახელმწიფო დაბეგვრისაგან და შემოსავალი, რომელიც დარჩება ხელფასის გაცემის შემდეგ, მთლიანად მოხმარდეს მათ შემდგომ გაფართოებას და სოფლის სოციალურ განვითარებას.

საერთოდ, ყველა არსებული და ასაშენებელი ობიექტების პროექტები უნდა გადაისინჯოს ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში უნდა გადავაკეთოთ ან მოვახდინოთ ლიკვიდაცია ადრე არსებული ისეთი ობიექტებისა, რომლებიც ეკოლოგიურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ.

*** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს სამოქმედო სფეროში გარდაქმნა?**

— ამ საკითხზე რამდენჯერმე ვრცლად მომიხდა რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში გამოსვლა. იმის გამო, რომ უმაღლესი სასწავლებლების განვითარებისათვის სახელმწიფომ ვერ შეძლო შესაბამისი თანხების გამოყოფა, სპეციალისტების მომზადების სისტემის გარდაქმნა ნელა მიმდინარეობს. საჭიროა სასწავლო და საკვლევი მუშაობის ერთმანეთთან შერწყმა, ე. წ. სასწავლო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებების ჩამოყალიბება, რათა სპეციალისტების მომზადება ხდებოდეს მეცნიერების მოწინავე მიღწევების საფუძველზე და არა მოძველებული პროგრამებით და სახელმძღვანელოებით.

ჩემი [illegible] რო, [illegible] არის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის პრობლემებზე. რესპუბლიკაში ამ დარგის განვითარებას ხელს უშლის ახალი ტექნიკის შექმნისა და სერიული გამოშვების ამჟამად არსებული სისტემა, როცა ტექნიკურ პროგრესს ამ დარგში განსაზღვრავენ ე. წ. სათაო საკავშირო ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან სხვა ორგანიზაციებში შექმნილი მანქანების დანერგვას, რადგან თავისი პროდუქციის დანერგვით უფრო არიან დაინტერესებულნი. ამ დარგში გარდაქმნა მოითხოვს, რომ ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შემქმნელი ყველა ორგანიზაცია ერთნაირ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი და მათი საქმიანობა კონკურსის პირობებს ემყარებოდეს.

*** თქვენი პოზიცია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მიღწევის საშუალებები.**

— ვთვლი, რომ უახლოეს დროში უზენაესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის — ეკონომიკურ ხელშეკრულებათა საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებთან და სხვა სახელმწიფოებთან მომგებიანი ვაჭრობა-საქონელგაცვლა, საკუთრების ყველა ფორმის თანაბარი უფლებით დაშვება, მრეწველობის განვითარებაში უპირატესობა მიეცეს მცირე მასალატევადობის და დიდი მეცნიერებატევადობის დარგებს (ხელსაწყოთმშენებლობა, გამოთვლითი ტექნიკა და სხვა); პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაითვალოს სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანათმშენებლობის განვითარება; განვითარდეს უპირატესად ალტერნატიული ენერგეტიკული საშუალებები (მცირე ჰიდროელექტროსადგურები, მზისა და ქარის ენერგია, თერმული წყლები); მომზადდეს საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პირობები; სავალუტო ოპერაციების დამოუკიდებელი მართვის განპირობება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება უნდა დაეფუძნოს ეროვნულ მემკვიდრეობას.

პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის — დაკანონდეს მრავალპარტიული სისტემა; შემუშავდეს რეფერენდუმების ჩატარების წესი; სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყდეს რეფერენდუმის გზით; მიღწეულ იქნას ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა; განისაზღვროს დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქის სტატუსი და მისი მიღების წესი; შემოღებულ იქნას კანონი თავისუფალი პროფკავშირების დაშვების შესახებ; დემოკრატიული კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათათვის; საქართველომ იზრუნოს გახდეს საერთაშორისო გაერთიანებების სრულუფლებიანი წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მუშაობს სოფლის კულტურის კერა

გაკეთებულის მიუხედავად

საკლუბო დაწესებულებების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს ზრუნვა ადამიანის შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, თავისუფალი დროის გონივრულად და შინაარსიანად გამოყენებისათვის.

საკლუბო დაწესებულებების წინაშე მდგარი დიდი ამოცანების შესასრულებლად მუშაობის გარდაქმნისათვის იღვწიან წიფერჩის სასოფლო კულტურის სახლის მუშაკები, აქტივი (დირექტორი ნ. ხეცურიანი, სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ჩარკვიანი). კულტურის სახლს შედგენილი აქვს წლიური, კვარტალური და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმები და მუშაობას წარმართავენ ამ გეგმების მიხედვით.

კულტურის სახლში საზოგადოებრივი საბჭოსა და აქტივის საშუალებით ხშირად ტარდება კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, ლექცია-საუბრები, კონცერტები, შეხვედრები მოწინავეებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, მრავალშვილიან დედებთან. მათ მიერ მოწყობილ მასობრივ-კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო საბჭოსა და საშუალო სკოლის მუშაკები, კოლმეურნე ახალგაზრდობა.

კულტურის სახლში შექმნილია და დამაკმაყოფილებლად მუშაობს დრამატული, აგიტმხატვრული, ქალთა ვოკალური, მხატვრული კითხვის, ფრენბურთისა და ჭადრაკის წრეები. წრეებს ძირითადად შექმნილი აქვთ მუშაობის ნორმალური პირობები, საკმარისია სამედიცინო ოთახები და საჭირო ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტები.

აგიტმხატვრული ბრიგადის, ქალთა ვოკალური წრის წევრები კულტურის სახლში, მინდვრად მესიმინდეებთან, მევენახეებთან, მეცხოველეობის ფერმის მუშაკებთან ხშირად ატარებენ კონცერტებს. ისინი ზონალურ და რაიონულ დათვალიერებაში კარგად მომზადებული პროგრამით ღებულობენ მონაწილეობას და გამარჯვებული გამოდიან.

კულტურის სახლში, სადაც ამჟამად მოწყობილია წინასაარჩევნო საინფორმაციო მეთოდური ცენტრი, ამომრჩევლებს იზიდავთ კარგად მოწყობილი გამოფენები: „25 მარტი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღეა“, „ვიბრძოლოთ დემოკრატიული არჩევნებისათვის“, „დეპუტატობის კანდიდატები“, „26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა“ და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კულტურის სახლში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა მუშაობა.

კულტურის სახლში აქტივის მონაწილეობით ხშირად ეწყობა ლექცია-საუბრები, ლიტერატურული დილა-საღამოები ქართველი ერის წარსულზე, მის აწმყოსა და მომავლის ამოცანებზე, რესპუბლიკის, რაიონისა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის გარდაქმნაში თითოეული მშრომელის ღვაწლზე და ა. შ.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ეწყობა კულტურის სახლში. დასამახსოვრებელი ღონისძიება ჩაატარეს 6 მარტს, რომელიც მიეძღვნა ქალთა დღეს 8 მარტს, რომელშიც მონაწილეობდნენ მეაბრეშუმეები, მესიმინდეები, მევენახეები, მრავალშვილიანი დედები. კულტურის სახლის დრამატული წრის წევრთა მიერ შესრულებული იქნა სკეტჩები, მუსიკალური ნომრები, ცეკვები.

მუშაობის გამოცოცხლებისა[illegible]ვის ზრუნვა, უცხეთესობისა[illegible] პირველი ნაბიჯები იგრძნობ[illegible], მაგრამ მიღწეული [illegible] არის, კულტურის [illegible] ზოგიერთი ნაკ[illegible] წრის მუშაობა ჯერ [illegible] არის იმ დონეზე, რასაც დღეგანლილობა მოითხოვს. ნელა ინერგება მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. გადაუდებელ რემონტს მოითხოვს [illegible] დარბაზის ჭერი და იატაკი.

არის ყველა პირობა იმისა, რომ წიფერჩის სასოფლო კულტურის სახლის მუშაკები არსებითად გარდაქმნიან მუშაობას, გამოიყენებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს და კულტურის სახლს გადააქცევენ მშრომელთა ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების კერად.

დ. სალინაძე,

კულტურის განყოფილების ინსპექტორი.

ჩვენ გვწერენ

სოფელი ითხოვს

სოფელ მახაშში ცხოვრობს 115 ოჯახი. სოფელს ადრეულ პერიოდში ჰქონდა ორი ეკლესია. 1929 წელს დაანგრიეს ისინი, ერთით მარანი ააშენეს, მეორეთი კი კოლმეურნეობის კანტორა.

სოფლის მცხოვრებნი ეკლესიის ნანგრევებზე მიდიან სალოცავად. მათ გადაწყვიტეს ეკლესიის აშენება თავიანთი ხარჯებით. უკვე გაიყვანეს წყალი მშენებლობის ადგილზე, შეძენილია მშენებლობისათვის საჭირო მასალები, მაგრამ შეზიდვას აძნელებს უგზოობა. სამასი მეტრის მანძილზე ესაჭიროება გზას რემონტი. არ გაგვაჩნია რაიმე ტექნიკა, რომ გზა შეარემონტოს.

სოფლის ყველა მცხოვრები ვთხოვთ რაიონის ხელმძღვანელებს გზის რემონტისათვის მოგვცენ ბულდოზერი და ქვიშის მოსატანი თვითმცვლელი მანქანა, რითაც დიდი სამსახური გაეწევა სოფლის მოსახლეობას.

ვალერიან ჯამბურიძე,

შრომისა და ომის ვეტერანი,

სოფ. მახაში.

მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

დედა

ბედნიერი ქალია ბარდნალელი ბელა კოპალიანი, ხუთი შვილი იზრდება მის ოჯახში, ერის ხუთი იმედი და მომავალი. ლელა, ლია, ლალი, ელიზა, ფიქრია, ერთმანეთზე უკეთესი, საყვარელნი დღეს მშობლების მზრუნველობას შეფარულნი, თავიანთი ბედნიერი ბავშვობით ხარობენ.

იცის ქალბატონმა ბელამ, რომ მრავალ შვილს მრავალი საზრუნავი ახლავს, ამიტომაცაა, რომ დღედაღამ ფუსფუსებს, სულ იმის ფიქრშია შვილებს არ მოაკლდეს დედობრივი მზრუნველობა. ოჯახის დიდ დიასახლისს, ზოგჯერ ზატარა „დიასახლისებიც“ ეხმარებიან და რა ჟრიამულით, სიხალისით კეთდება საქმე. სწორედ მაშინაა ქალბატონი ბელა ყველაზე ამაყი, გაცისკროვნებული სახით შესცქერის შვილებს და ღმერთს მათ კარგ მომავალს შესთხოვს.

გაზაფხულდება თუ არა უჩვეულო სამზადისი შეიპყრობს პატარებს, ყველა თავთავისთვის ფუსფუსებს, ცალ-ცალკე ამზადებენ გაზაფხულის პირველი ყვავილების თაიგულს დედისა და დებისთვის.

იების, ენძელებისა და ყოჩივარდების დღესასწაული დგება კოპალიანების ოჯახში, ვუცქერი ბავშვებს და ვრწმუნდები ბელას ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რომ მისი შვილები მთელი ცხოვრებაა მისთვის. მართლაცდა, არ არის იმაზე დიდი ბედნიერება და სიხარული, როცა 5 შვილი მოგართმევს თითო-თითო კონა თაიგულს, რომელთაც ჯერ კიდევ მინდვრის სურნელება ასდით.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ქალბატონო ბელა, თქვენი აღზრდილი შვილები მწამს ჩვენი ტანჯული საქართველოს სასიქადულო დედები გახდებიან.

ზორენა ხეცურიანი

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: ვრცელდება თუ არა შეღავათები იმ სამამულო ომის ინვალიდთა ქვრივებზე, რომელთა მეუღლეებიც 1975 წლამდე გარდაიცვალნენ?

პასუხი: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ 1975 წლამდე გარდაცვლილი სამამულო ომის ინვალიდების ქვრივებზე გავრცელდეს ის შეღავათები და პირობები, რომლებიც დადგენილია 1975 წლის შემდეგ გარდაცვლილ სამამულო ომის ინვალიდთა ქვრივებზე.

აღნიშნული შეღავათების გავრცელების მიზნით ვთხოვთ 1975 წლამდე გარდაცვლილი სამამულო ომის ინვალიდთა ქვრივებს გამოცხადდნენ რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში.

ნ. ცვარიანი.

საგერის რაისოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

სამოქალაქო თავდაცვისათვის ზრუნვა ყველას საქმეა

უცხოეთის არმიების ქიმიური იარაღი

მასობრივი მოსპობის იარაღების ერთ სახეს განეკუთვნება ქიმიური იარაღი, რომლის მოქმედება დამყარებული არის ზოგიერთი ქიმიური საწამლავის ტოქსიკურ თვისებებზე. მას მიეკუთვნება საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებები და მათი გამოყენების საშუალებები.

მოწინააღმდეგის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ნიშნებია: შავი ზოლები, რომლებიც ჩნდება თვითმფრინავის ბოლოში ფრენის მომენტში და რომელიც შემდეგ ეფინება დედამიწას, ზეთოვანი წვეთები ფოთლებზე, ბალახზე, შენობებზე, გრუნტზე, აგრეთვე იმ ღრუბლის ირგვლივ, სადაც აფეთქდა ბომბები, მცენარეების ბუნებრივი შეფერილობის ფერის შეცვლა, მწვანე ფოთოლთა გაშავება. ამასთანავე ადამიანებს უღიზიანდებათ სასუნთქი და საყლაპავი ორგანოები, მხედველობა, გულმკერდის არეში გრძნობენ სიმძიმეს.

ქიმიური იარაღი ეს ისეთი ქიმიური შენაერთი არის, რომელსაც შეუძლია დააზიანოს ადამიანები და ცხოველები დიდ ფართობზე, შეიჭრას სხვადასხვა ნაგებობებში, მოწამლოს ადგილმდებარეობა და წყალმომარაგება. ამ საწამლავით ივსება რაკეტები, საავიაციო ბომბები, საარტილერიო ყუმბარები და ნაღმები, ქიმიური ფუგასები, აგრეთვე არსებობს საავიაციო გადმომღვრელი მოწყობილობანი. მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენება თხევად-წვეთურ მდგომარეობაში, ორთქლის და აეროზოლების ფორმით. ადამიანის ორგანიზმში მათი შეღწევა ხდება საკვებისა და წყლის მილების, კანის, მხედველობის და სასუნთქი ორგანოების მეშვეობით.

ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების მიხედვით მომწამვლელი ნივთიერებები იყოფიან ნერვოპათოლოგიური, კანზე მოქმედი, მხუთავი, საერთო მომწამლავი გამაღიზიანებელი და ფსიქოლოგიური მოქმედების.

ნერვო პათოლოგიური მომწამლავი ნივთიერება (ზარინი ვიისკი) სასუნთქი ორგანოების მეშვეობით აზიანებს ნერვულ სისტემას, რომელიც იმყოფება ორთქლის ან თხევად წვეთოვან მდგომარეობაში, აღწევს რა საჭმლის მომნელებელი კუჭნაწლავის ორგანოების ტრაქტებში, წყლის ან სხვა პროდუქტების მილებისას იწვევს ადამიანის მოწამვლას. ამ საწამლავის მდგრადობა ზაფხულობით დღეღამეზე მეტია, ხოლო ზამთრობით კი რამდენიმე კვირას და თვესაც ინარჩუნებს თავის ტოქსიკურობას. ეს საწამლავი ძალზე საშიში არის. ადამიანის დაზიანებისათვის საკმარისი არის ძალზე ცოტა დოზა საწამლავისა, რომ ის გამოიყენოს წყობილებიდან. ამ საწამლავის დამახასიათებელი ნიშნები არის: ცხვირიდან სითხის დენა, საყლაპავი მილის შევიწროვება, სუნთქვის გაძნელება, გულისრევა და პირის ღებინება, ხშირად გონების დაკარგვა.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებად გამოიყენება აირწინაღი და დამცავი, რეზინით ან სპეციალური ხსნარით გაჟღენთილი ტანსაცმელი, ავადმყოფს — მოწამლულს აუცილებლად უნდა გავუკეთოთ აირწინაღი და ორგანიზმში შევიყვანოთ შპრიცტიუბიკი ანდა მივაღებინოთ მოწამვლის საწინააღმდეგო აბები. თუ ეს საწამლავი მოხვდება ადამიანის კანზე ან ტანსაცმელზე, დაზიანებული ადგილება უნდა დამუშავდეს ინდივიდუალური დაცვის ქიმიური პაკეტის სითხით.

კანზე მოქმედი მომწამლავი ნივთიერება (იპრიტი) ხასიათდება მრავალმხრივი მოწამვლის თვისებებით, თხევად-წვეთოვან და ორთქლის მდგომარეობაში ისინი აზიანებენ კანს და მხედველობას, ორთქლის შესუნთქვისას ზიანდება სასუნთქი ორგანოები—ფილტვები. საკვების და წყლის საშუალებით მომწამლავი ნივთიერებები აზიანებენ საჭმლის მომნელებელ ორგანოებს და იწვევენ ადამიანის საერთო მოწამვლას. იბრიტის დამახასიათებელი თვისება, ის არის, რომ მოწამვლა ადამიანისა მიმდინარეობს ფარულად, მოწამვლის ნიშნები ვლინდება 2-3 საათის დაგვიანებით, ხშირად მეტი ხნითაც.

მოწამვლის ნიშნები არის კანის გაწითლება, კანზე პატარა ბუშტულაკების გაჩენა, რომლებიც თანდათანობით იზრდებიან და 2-3 დღის შემდეგ სკდებიან

(დასასრული მე-4 გვერდზე).

უცხოეთის არმიების ქიმიური იარაღი

(დასასრული).

და გადადიან ძნელად შესახორცებელ წყლულებად, ეს ნივთიერება იწვევს საერთო მოწამვლას, სწრაფად იწევა ტემპერატურა და ქვეითდება ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული იქნება ასეთი სახის მომწამლავი ნივთიერება, აუცილებელი არის გამოვიყენოთ აირწინაღები და დამცავი ტანსაცმელი, დაზიანების შემთხვევაში კი უნდა გამოვიყენოთ ქიმსაწინააღმდეგო პაკეტში არსებული სითხე.

მხუთავი მოქმედების საწამლავი ნივთიერება (ფოსგენი) ადამიანზე მოქმედებს მხოლოდ სასუნთქი ორგანოების მეშვეობით. მისი დაზიანების ნიშნებია: პირის ღრუში ტკბილი გემოს წარმოშობა, არასასურველი გემო ერთად შეზავებული. ხველება, თავბრუხვევა საერთო სისუსტე. ეს მდგომარეობა სწრაფად იცვლება მოწამლულის მოწამვლის კერიდან გამოყვანისას და 4-6 საათის განმავლობაში ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ეს მოჩვენებითი არის და შემდეგ ავადმყოფს სწრაფად უუარესდება მდგომარეობა, ეწყება ძლიერი ხველება სისველით, თავისტკივილი, ტემპერატურის აწევა, სულის ხუთვა და უძლიერდება გულისცემა. ამ შემთხვევაში დაზარალებულს უნდა გაუკეთდეს აირწინაღი, სწრაფად გამოვიყვანოთ დაზიანების კერიდან, თბილად დავახუროთ და მივცეთ სიმყუდროვე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავადმყოფისათვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარება.

საერთო მომწამლავი მოქმედების ნივთიერებებს განეკუთვნება სილიკანური წარმოშობის მუავა და ქლორაციანი. ისინი მოქმედებენ მხოლოდ მათი ორთქლით მოწამლული ჰაერის შესუნთქვისას. მათგან დაზიანების ნიშანი არის პირის ღრუში მეტალის გემოს შეგრძნება, ყელის გაღიზიანება, თავბრუხვევა, ამ მომენტში საკმარისი არის გამოვიყენოთ აირწინაღი.

იმისათვის, რომ დაზარალებულს აღმოვუჩინოთ დახმარება, საჭირო არის გავტეხოთ მოწამვლის საწინააღმდეგო ამპულა, მოვათავსოთ ის აირწინაღის ჩაფხუტის შიგნით, თუ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაში არის, უნდა ჩავუტაროთ ხელოვნური სუნთქვა და სასწრაფოდ გადავიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამლავი ნივთიერებანი სიეესი, ადამსიტი და სხვა იწვევენ ძლიერ ცრემლდენას, ხველებას, სუნთქვის გაძნელებას.

ფსიქოლოგიური მოქმედების საწამლავი ნივთიერება (ბი-ზეტი) სპეციფიკურად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს ფსიქიკურ ჰალუცინაციებს შიშს, ანდა ფიზიკურ სიბეცეს, სიყრუეს და ნერვიულ მოშლას.

გამაღიზიანებელი და ფსიქოლოგიური მომწამლავი ნივთიერებების მოქმედებისას აუცილებელი არის ავადმყოფი დაიბანოს თბილი წყლით და საპონით, თვალები და ყელი ამოირეცხოს სუფთა წყლით, ხოლო ტანსაცმელი უნდა გაიწმინდოს ჯაგრისით. დაზარალებულები სასწრაფოდ უნდა გამოვიყვანოთ მოწამლული ზონიდან და მოვათავსოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

ქიმიური დაზიანების კერა.

ტერიტორიას სადაც მოხდა ადამიანების, ცხოველების და მცენარეულის დაზიანება ქიმიური იარაღით, ეწოდება ქიმიური მოწამვლის ზონა.

ქიმიური მოწამვლის ზონის სიდიდე დამოკიდებული არის და განისაზღვრება გამოყენებული იარაღის სიძლიერეზე, ტიპზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე და სხვა ფაქტორებზე.

განსაკუთრებით საშიში არის თავისი მედეგობით ნერვოპალატიური მოქმედების ორთქლი, რომელიც სწრაფად ვრცელდება ქარის მიმართულებით. საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე 15-25 კილომეტრზე, ამიტომ ადამიანები და ცხოველები ზიანდება არა მარტო დაზიანების კერებში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

მომწამლავი მოქმედების ხანგრძლივობა მცირეა იმდენად, რამდენადაც ძლიერი არის ქარის და ჰაერის ნაკადის მოქმედება. ტყეებში, პარკებში, ხრამებში, ვიწრო ქუჩებში მომწამლავი ნივთიერებები ტოქსიკურობას ინარჩუნებენ უფრო ხანგრძლივ პერიოდში, ვიდრე ღია ადგილებში.

არსებობს მოწამვლის პირველადი და მეორადი ზონა. პირველადი ზონა არის ადგილი, სადაც უშუალოდ მოხდა საბრძოლო მასალის აფეთქება და გარემოზე იმოქმედა ორთქლმა და აეროზოლმა.

მეორადი ზონა არის ადგილი, სადაც აფეთქების შედეგად წარმოშობილი ორთქლი აეროზოლები და თხევადი წვეთოვანი მასალა გავრცელდა ტერიტორიაზე აფეთქების ცენტრიდან პერიფერიაში.

გ. ჩიქოვანი,
ცაგერის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

გედი

(ჩინახოზი)

თაკარა მზე ანათებდა, კამკამა ცაზე გამოჩნდა თეთრი გედი, ამაყად ყელმოღერებული, მაგრამ უამრავი მტრისაგან გულშეწუხებული. ერთი მხრიდან არწივთა გუნდი უპირებდა განადგურებას, მეორე მხრიდან კი ყორანთა, ან ერთის ლუკმა უნდა გამხდარიყო, ან მეორის.

— მოდი შევურიგდე ბედს, დავნებდე, ამით რა გამოვა? — ფიქრობდა გედი.

— არა, ასე არ შემიძლია, არ შემიძლია სხვისი დამორჩილება.

— მოდი და ბედს ვცდი, ეგებ მეგობრული კავშირი დავამყარო —საბოლოოდ გადაწყვიტა გედმა.

მართლაც ასე მოხდა. გედს ეგონა გაძლიერდები, მხრებს გავშლი, შთამომავლობას მტრისაგან დავიცავ, მაგრამ ვაი ასეთ „გაძლიერებას“.

გადიოდა დრო, წელი წელს მისდევდა, დღე დღეს, წუთი წუთს. აღმოჩნდა, რომ გედი სისხლისაგან დაეშრიტათ, მებრძოლი სული წაერთმიათ, ფრთები დაეგლიჯათ. მძიმე ჭრილობები უსერავდა გულს, აღარ შეეძლო ფრენა, აღარ შეეძლო თავისუფლებაზე ფიქრი.

— გავიღვიძეთ, ბურანიდან გამოვედით,—ძილში ჩაესმა გედს თავისი პაწიების ჟღურტული.

— დაე, მოგვკლან, მიწასთან გაგვასწორონ, ოღონდაც თავისუფალნი ვიყოთ—იძახდნენ პაწიები.

— ეს როგორ გაგვიბედეთ— განრისხდა არწივთა გუნდი. კლანჭებით ცდილობდნენ გედთა განადგურებას.

დედა გედი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ არ სწუხდა, რადგან მისი თავი მასვე ეკუთვნოდა.

სოფო ბურჯალიანი,
სოფ. ორბელი.

მზია მურმანის ასულ ნემსწვერიძეს
დავით ამირანის ძე ჩახულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ მტკიცე, ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

რაი-ცენტრის აფთიაქის თანამშრომლები.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს
გოგი გურამის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ოჯახის სიმტკიცეს, ულევ სიხარულს, მრავალი შვილის შეძენას.

მარინე ელიავა, ლია დარახველიძე, ეენია რეხვიაშვილი, ნატო ქარსელაძე, ნათელა მიქაძე, ნეოლინა საღინაძე.

ნინო ნოდარის ასულ თაგვაძეს
გენადი გიგლას ძე ვაჩაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებასა და დიდი ხნის სიცოცხლეს.

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ნინო ვლადიმერის ასულ ხეცურიანს
გიორგი დიმიტრის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას გისურვებთ სიხარულს და გამრავლებას.

პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი.



ეთერ გრიშას ასულ სვანიძეს
გიძინა გენიას ძე სილაგაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შემატებოდეს მრავალი და-ძმა ერის საკეთილდღეოდ.

ორბელის საშუალო სკოლის კოლექტივი.

ლეილა, გოგი გაჩეჩილაძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს მამულის სასახელო ქალი, შემატებოდეს და-ძმანი.

ლაილაშის სასოფლო საბჭოს აპარატის, ბიბლიოთეკისა და კლუბის თანამშრომლები.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ავტომოყვარეულთა საყურადღებოდ!

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების თვითთანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ—ტექნიკურ სასწავლებელში გაიხსნა „ბ“ კატეგორიის ავტომძღოლების მოსამზადებელი ფასიანი ჯგუფები.

სწავლის ქირაა 150 მანეთი, სწავლების ხანგრძლივობა—2,5 თვე.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სასწავლებლის მიმღებ კომისიას.

სასწავლებლის დირექცია.

მეუღლე თამარი, შვილები ელენე, მანანა, გიზო, დარეჯან, დები ნადია, მერი, რძალი მერი ციცვიძე, სიძეები ლეო ქვარიანი, პავლე აბულაძე, ამირან საგანელიძე, სოსო ჩარკვიანი, ჯუმბერ ქვაჩაკიძე, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, ცოლისდიშვილები, ცოლისძმიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ამბროსის ძე ასათიანი.

დაკრძალვა 24 მარტს, შაბათს, სოფ. ქორენიშში.

ორბელის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თამარ ჩაჩხიანი თანაუგრძნობენ ჯონდო ბურჯალიანს ბებიის

ნინა ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ქეთევან ახვლედიანს ბიძაშვილის

ვიტალი ჯაფარიძის

გარდაცვლების გამო.

რეზო, ქეთო, ამირან ახვლედიანები, ლეილა ჭაბუკიანი, აზა ბენდელიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიტალი ამირანის ძე ჯაფარიძე

იზო, მარგალიტა, ჭიჭიკო, გოგუცა ბურჯალიანები, ინდიკო, მედიკო გურგუჩიანები თანაუგრძნობენ დალი და ვიტალი სვანიძეებს მზია და მურთაზ ლიპარტელიანებს დედისა და სიდედრის

ნინა ჩხეტიანის

გარდაცვალების გამო.

და ლუბა ჩხეტიანი, რძალი ნარგიზა ყურაშვილი, ძმისშვილი ლიანა, დისშვილები გოგი და დათო ომანაძეები, სიძეები იაშა თვარაძე, გურამ ბობოხიძე, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა პლატონის ასული ჩხეტიანი.

დაკრძალვა 23 მარტს, პარასკევს, სოფ. აღვში.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3, **განყოფილებების:** სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.